სახელოვნებათმცოდნეო დასკვნა, ქ. თბილისი, ერისთავი-ხოშტარიას ქ. #2-ში ჩასატარებელ სარეკონსტრუქციო სამუშაოებზე

ქ. თბილისი

2023

ობიექტი, რომელიც ჩვენი კვლევის საგანს წარმოადგენს, მდებარეობს ქ. თბილისის ისტორიულ ნაწილში, ევრაზე, ერსითავი ხოშტარიას ქუჩა #2-ში.



მცირე ისტორიული ექსკურსი

დღევანდელი თბილისის ერთ-ერთი ცნობილი უბანი ვერა თავის დროზე სოფელი იყო, რომელიც თბილისს ეკვროდა. XIX-ის 60-იანი წლებიდან მან ქალაქთან ინტეგრირება დაიწყო, გაჩნდა პირველი ქალაქური ტიპის დასახლება, აშენდა აგურის ქარხნები. თბილისის სრულფასოვან უბნად ვერა XIX საუკუნის 80-იან წლებში იქცა, როცა აქ ინტენსიური და რეგულარული ქალაქური განაშენიანება დაიგეგმა.

ვერისუბანი მოიცავს ტერიტორიას მდინარე ვერეს ქვედა დინებიდან, ვიდრე ელბაქიძის დაღმართამდე. ვერაზე გადიოდა დიღმის საქარავნო გზა (დღევანდელი კოსტავას ქ.) და წყნეთის გზა (მელიქიშვილის ქ.). უბნის ურბანული ქსოვილის ჩამოყალიბებაში გადამწყვეტი როლი ითამაშა ვერის ხიდის (1883 წ. 1952 წელს იგი ახალი ხიდით შეიცვალა) აგებამ და ვერის დაღმართის (დღევანდელი მ. ჯავახიშვილის) გაჭრამ. ხიდმა ქალაქის ორი მაგისტრალი _ გოლოვინსკისა და მიხეილის (რუსთაველის და აღმაშენებლის) პროსპექტები დააკავშირა ერთმანეთს.

გოლოვინსკის პროსპექტი ვერისუბნის მიმართულებით გაგრძელდა. იგი შეუერთდა ოლღას ქ.-ს (კოსტავას ქ.), რომელიც დაახლოებით ვერის ბაღთან მთავრდებოდა და წყნეთის (მელიქიშვილის ქ.) ქუჩებს. ამ ქუჩათა გასაყარზე მცირე მოედანი წარმოიქმნა (დღევანდელი ფილარმონია). ვერისუბნის გეგმარება დღესაც შენარჩუნებულია. მას დიდად განსაზღვრავს რელიეფი (უბანი ნაწილობრივ მთის ფერობზეა განლაგებული) და მასთან მისადაგებულია ქუჩების მრუდხაზოვნება.

ქალაქგეგმარებითი თვალსაზრისითაც არ დაუკარგავს უბანს თავისი მნიშვნელობა. ვერაზე დღესაც გადის ქალაქის მთავარი მაგისტრალები (თავისუფლების მოედანი _ რუსთაველის პროსპექტი _ კოსტავას ქ. და მელიქიშვილის ქ. _ ვაკე), რომლებიც თბილისის ცენტრს ახალ უბნებთან აკავშირებს.

ვერისუბნის განაშენიანება კოსტავასა და მელიქიშვილის ქუჩების პარალელურად ვითარდება. ეს ქუჩები უბნის განაშენიანებას ქუჩათა პერპენდიკულარული სისტემის მეშვეობით უკავშირდებოდა.


XIX ს. ბოლოსა და XX ს. ვერაზე ახალი, ქალაქური ტიპის სახლების უფრო მასშტაბური მშენებლობა დაიწყო. ეს სახლები თავისი გეგმარებითა და მხატვრულ-არქიტექტურული სახით იმ დროის თბილისური არქიტექტურის საერთო ტენდენციებს მიჰყვება. XX ს-ში ვერა თბილისის ერთ-ერთ ცენტრალურ უბნად იქცა.

ქუჩა ერთ-ერთი გამორჩეული მონაკვეთია ვერის უბნის ზედა კვარტლის განაშენიანებაში. ამ თავისებურებას განსაზღვრავს, როგორც მთაგორიანი რელიეფი, ასევე ქუჩაზე შემორჩენილი არქიტექტურული ძეგლების ღირებულება.

ქუჩის განაშენიანება ძირითადად XXს-ის დასაწყისის ორსამსართულიანი აგურის საშუალო ფენის კუთვნილი კერძო სახლებისგან შედგება. მათ შორის ვხვდებით განსაკუთრებული ისტორიულ-არქიტექტურული ღირებულების ნაგებობებსაც.

საპროექტო ობიექტი

უშუალოდ ჩვენი საპროექტო ობიექტი, სწორედ ასეთ ისტორიულად ჩამოყალიბებულ განაშენიანებაში მდებარეობს, ხოშტარიას ქუჩის დასაწყისში, რომელიც სწორედ აღნიშნული მონაკვეთიდან იწყება. მაყაშვილისა და ხოშტარიას ქუჩათა კვეთიდან, მცირე ზომის ქუჩა, სწორედ აღნიშნულ მონაკვეთზე შედის, სადაც რამდენიმე შენობა იხსნება. მონაკეევთის განაშენიანება, მიუხედავად თავისი სიმცირისა, დახუნძლულია კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლებით, რომელთა უმეტესობა, სწორედ მიმდებარე მაყაშვილისა და ხოშტარიას ქუჩათა ორივე მხარეს იკვრება. ამგვარი ისტორიულად ჩამოყალიბებული სურათი, ცხადია ერთგვარად გრძელდება მიმდებარე განაშენიანებაში, რომელიც ასევე ისტორიული მეხსიერების მატარებელია.



მეორე მნიშვნელოვანი სპეციფიკურობა საპროექტო არეალისა არსებული რელიეფი. დახრილი რელიეფი და ტოპოგრაფიული მონაცემები ქმნის აღნიშნული ადგილის რთულ მოცემულობასა და ამავდროულად ერთგვარ გამოწვევასაც. ის ხელისგულივით მოსჩანს არაერთი ხედვის წერტილიდან

უშუალოდ ჩვენთვის საინტერსო ობიექტი, სწორდ ისტორიული მეხსიერების მატარებელია. მიუხედავად იმისა, რომ მას არ აქვს მინიჭებული კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლის სტატუსი. შენობა მე 20 საუკუნის დასაწყისს განკუთვნება და აუთენტურია არსებული განაშენიანებისთვის.

ორსართულიანი ნაგებობა, ძირითადი ფასდით ხოშტარიას ქუჩაზე გამოდის. შენობა იმგვარი ორიენტაციით არის განთავსებული, ეზოს ფასადით სრულად იხსნება ხედი ქალაქზე. აფქტიურად მართკუთხა ფორმის მიწის ნაკვეთზე შენობა იმდგვარად დგას რომ ერთიანად მოსცანს, როგორც ქუჩის მთავარი ფასადი, ასევე ეზოს გახსნილი ხედიც.



ძველი ქართული აგურით ნაგები ორსართულიანი შენობა საკმაოდ მაღალი სარდაფის შემცველია, რომელიც პედესტალივით უდგება ნაგებობას და მის მოცულობას ერთიორად განსაზღვრავს. შენობის საფასადო კომპოზიცია მარტივია, სამივე სართულზე (იგულისხმება სარდაფის სართულიც), ღიობები სიემტრიულად აგდება, მათი ფორმა, პირველ და მეროე სართულებზე მცირედ მრუდხაზოვანია.

შენობის პლასტიკას ერთთავრად ქმნის საერთო საფასადე წყობიდან ოდნავ შვერილი პილასტრები, რომელიც მარჯვენა დამასრულებელ ნაწილში და მარცხნივ სადარბაზოს უჯრედის მომსაზღვრელ კომპოზიციას ქმნის. შესაძლეებლია პილატრესი ჩაფიქრებული

იყო, ან თავდაპირველადაც ჰქონდა ნალესობაში ამოყვანილი კანელურები, თუმცა დღეის მდგომარეობით, მას მხოლოდ მარტივი ვერტიკალური ფორმა შემოაქვს.



თუმცა მეტ პლასტიკურ დამუშავებას ქმნის, სართულების გამყოფი საფეხუროვანი ლავგარდანი.

შენობის ძირითად მხატვრულ გამომსახველობას განაპირობებს, ღიობების სწორკუთხა მოჩარჩოება, რომელიც ზედა მონაკვეთში ფრონტონის სამკუთხა ფორმას იღებს. მის ცენტრში კი მოდერნული ყაიდის მცენარეული ელემენტებია ჩასმული.

შენობის მეორე სართული გვიანდელ დანამატს ჰგავს. სწორედ ამ დროს მოხდა სავარაუდოდ შენობის ფასადის ერთიანი რეკონსტრუქცია. თუმცა დანამატი სრულიად იმეორებს ნაგებობის ფასადის სტილისტიკას და უმტკივნეულოდ ინტეგრირდება მასში. მეორე სართული შეადრებით უხეში ნალესობით იფარება, ღიობეი კი ფართოდ გამოყენებადი მცენარეული მოტივის ელემენტებით იმკობა, ღიობების ცენტრში კი წრიული ფორმის მედალიონებია ჩასმული. შენობას საკმაოდ მაღალი ყრუ პარაპეტი ასრულებს.

სახლში შესასვლელი, სწორედ ფასადზე არსებული სადარბაზოს კარიდან ხდება, მასში მოხვედრა კი გვიანდელი ლითონის კიბით არის შესაძლებელი. ცხადია, რომ თავდაპირველად მას მეტად მოკრძალებული შესასვლელი უნდა ჰქონოდა. თუმცა შემორჩენილია ხის სადარბაზოს კარი. გვიან შეცვლილია ასევე ეზოში შესასვლელი ჭიშკარიც.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, შენობის კონფიგურაციიდან გამომდინარე, ეზოს ფასადი სრულად იხსნება, რომელიც ასევე ნაგებობის საერთო მხატვრული ღირებულების შემადგენელი ნაწილია.



ეზოს მხრიდან კარგად ჩანს შენობის კონფიგურაცია, რომელიც რუსული გ-ს ფორმის მოყვანილობის არის, ძირითადი მოცულობა ფასადისა, ხოლო სიღრმეში განვითარებული ფლიგელი. ასევე გვიანდელი მინაშენი ჩნდება უკანა მონაკვეთშიც.

ეზოს ფასადის აერთო მხატვრული გამომსახველობა ერთიანი შუშაბანდი გალერეებია, თავდაპირველად სავარაუდოდ აივნები პირველ სართულს დაუყვებოდა და მცირე ზომის შიდა ეზოსა და ქალაქის პანორამულ ხელს ეხსნებოდა, მოგვიანებით აივნები შუშაბანდებად გარდაიქმნა, რომელსაც თავისი ხასიათი შეაქვს მე 20 საუკუნის თბილისური ეზოების სტრუქტურაში.

ამგვარად, შენობა ძალზედ საინტერესო მაგალითია მე 20 საუკუნის დასაწყისისა, რომელიც სრულებით ინახავს ისტორიულ მეხსიერებას და ქალაქისა თუ კონკრეტული უბნისთვის დამახასიათებელ სტრუქტურულ ნიშნებს.

წარმოდგენილი პროექტის მიხედვით, შენობის რეკონსტრუქცია იგეგმება, რომელიც შესაძლებელია განხორციელდეს შემდეგი რეკომენდაციების გათვალისწინებით:

- მიუხედავად იმისა, რომ შენობას არ აქვს მინიჭებული კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლის სტატუსი, ის ისტორიულ მეხსიერების მატარებელია, შესაბამისად მასზე განსახორციელებელი სამუშაოები უნდა იყოს მაქსიმალურად უმტკივნეულო;
- შენობის შენარჩუნება უნდა მოხდეს მაქსიმალურად სხეულებრივად, სარეკონსტრუქციო მეთოდოლოგიის დაცვით;
- შენარჩუნებულ იქნას საფასადო კომპოზიცია, მისი სტრუქტურა და საერთო ხასიათი, მათ შორის სადარბაზოს ხის კარი;
- შენარჩუნებულ უნდა იქნას შენობის ნაკვეთზე განთავსების სტრუქტურა და ძირითადი გეგმარებითი ქარგა, შესაბამისად ქუჩის მხრიდან მას ჭირდება სივრცე, რომელიც „ამოსუნთქვის“ საშუალებას მისცემს განაშენიანებას, მეტადრე, რომ საპროექტო ნაკვეთის წინ საკმაოდ მასშტაბური ახალმშენებლობა;
- ამ თვალსაზრისით უმნიშვნელოვანესია ტავად შენობის მყუდრო ეზოს არსებობა;
- შესაძლებლად მიგვაჩნია ინტერიერის საჭიროებისამებრ გადაგეგმარებისა, თუმცა მნიშვნელოვანია რომ უცვლელად იქნას შენარჩუნებული კონსტრუქციული ელემენტები (საყრდენი კედლები, სარდაფის სივრცე და სხვა);
- ეზოს ფასადის მხრიდან შენარჩუნებულ უნდა იქნას შუშაბანდების სტრუქტურა. გამომდინარე იქიდან, რომ ამჟამად არსებული შუშაბანდები გვიანდელია, შესაძლებელია ალათების ჩანაცვლება, თუმცა საერთო ნახატი და სტრუქტურა ერთიანად უნად იქნას გააზრებული;
- შესაძლებლად მიგვაჩნია ეზოს სიღრმეში განთავსებული ახალი მინაშენის რეკონსტრუქცია/დაშლა, რომელიც არსებულ ნაგებობასთან ინტეგრირებული უნდა იყოს;
- და ბოლოს გასააზრებელია ხედვის წერტილები და არეალები, რომელიც მრავლად არის შენობაზე, შესაბამისად მისი რეკონსტრუქცია უნდა იყოს მაქსიმალურად ფაქიზი და უმტკივნეულო მიმდებარე განაშენიანებისთვის;



ხელოვნებათმცოდნე: თ. ღვინერია